# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 10 **GEORGIAN OPINION** NEW YORK, NOVEMBER 1956


**ნიუ-იორკი, ნოემბერი 1956 წ.**

გასულ მარტში ტფილისში მომხდარ აჯანყებას თავისუფალი კაცობრიობის პრესამ დიდი ადგილი დაუთმო. ამ მოვლენას დიდი ყურადღებით და გულისტკივილით ადევნებდა თვალყურს, სამშობლოს მოწყვეტილი და უცხოეთში გაბნეული ქართველობაც.

უცხო პრესის დიდმა ნაწილმა არ შეიწუხა თავი მოვლენის შესწავლით და მისი ახალობით და თავის მკითხველს გაუმეორა კრემლის მიერ საექსპორტოდ შეთხზული ვერსია, რომ „ქართველები აჯანყდნენ“ სტალინის კულტის დამხობის“ გამო და ტფილისში მოხდა „პროსტალინური დემონსტრაცია“-ო. მხოლოდ „ჰერალდ ტრიბუნმა“ გამოსთქვა საწინააღმდეგო აზრი. თუმცა ვერც მან გაბედა ამ „ორიგინალობის“ პასუხისმგებლობის აღება და ამოფარა ჩვენს გაზეთს ნიუ-იორკ თანამშრომლის, ან ქამდე განსვენებულ ალ. ცომაიას აცეტრიტეტს და განაცხადა: ასე მოგვითხრობს „ვოის ოფ ფრი ჯორჯია“ რედაქტორიო.

წინამდებარე გაზეთის რედაქციამ მრავალგზით სცადა კაცობრიობისათვის და კერძოდ შ. შტატების საზოგადოებრივი აზრისათვის მიეცა, ტფილისის აჯანყების ნამდვილი და სწორი განმარტება. ჩვენ კატეგორიულად განვაცხადეთ, რომ **სტალინის მიერ დახვრეტილი, გადასახლებული, იძულებითი შრომის, ან კონცენტრაციულ ბანაკებში დალუპულ ქართველების შვილები და შვილიშვილები პროსტალინურ დემონსტრაციას არ მოაწყობდნენ და აქ საქმე გვაქვს სუფთა ეროვნულ მოძრაობასთან.**

ჩვენს კატეგორიულ განცხადებას ეჭვის თვალით შეხედა არა მარტო უცხო საზოგადოებრივი აზრის დამამუშავებელმა გაზეთებმა, არამედ თვით ქართული ემიგრაციის ერთმა ნაწილმაც და მათ შორის ზოგიერთმა მისმა თვალსაჩინო წევრმაც. ერთი ქართველი მოღვაწე ჩვენს რედაქციას აფრთხილებდა, რომ ია „მეტად მძიმე პასუხისმგებლობას ღებულობს“.

მას შემდეგ წარმოშობილმა მოვლენებმა ნათელი მოჰფინეს „მარტის აჯანყების“ და მისი ნამდვილი მიზანი და ჩვენი რედაქციის სწორი პოზიცია აშკარა შეიქნა. „მარტის აჯანყებას“ თან მოჰყვა 26 მაისი, საღაც მოვლენა საქართველომ ემედუნაბელ გამოსცვა თავისი ნება-სურვილი. ტფილისის კედლებზე გაკრულ პროკლამაციებში არ იყო ნახსენები „სტალინის კულტის აღდგენა“, არამედ და მხოლოდ მოითხოვდნენ: **საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას და ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას“.**

ტფილისის მარტის აჯანყებას კვლავ დაუბრუნდა უცხო საზოგადოებრივი აზრი და შ. შტატებში ფართოდ გავრცელებული და ოთხმის ყველაზე ფართოდ და სერიოზული „ნიუ იორკ ტაიმსმა“, გასული ოქტომბრის რვის გამოცემაში თავისი თანამშრომლის ჰერი შვარცის წერილი, რომელიც კატეგორიულად უარჰყოფს მარტის აჯანყების პროსტალინურ ვერსიას და ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ჰერი შვარცი მოგვითხრობს სტუდენტ რობერტ შვარცის ნაამბობს, რომელსაც სწორედ იმ პერიოდში უმოგზაურია საბჭოთა კავშირში და ჰქონია შემთხვევა ესაუბრა „თვით ტფილისის ამბების მონაწილეებთან“.

„საბჭოთა ჯარი, რომელმაც დემონსტრანტების წინააღმდეგ აამოქმედა ტყვიამფრქვევები და ტანკები, შეიდგებოდა განსაკუთრებით რუსული ნაწილებისაგან და აჯანყების ჩაქრობაში არც ერთ ქართველს არ მიუღია მონაწილეობა.

„აჯანყებაში განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა სამმა ახალგაზრდა ქართველმა: ორმა ბიჭმა და ერთმა გოგომ. მათ მოუწყვიათ დამოუკიდებელი რადიო-გადამცემი აპარატი ცდილან ამა მიეწვდინათ საზღვარგარეთულ სამყაროსათვის დამხობის სათხოვნელაა. ამ რადიო-სადგურის არსებობის ხმები უფრო ადრე ტრიალებდა დასლობიადერ წრეებში, რომელსაც უმჩნებდენ ისმაღეთში.

„სამ ახალგაზრდა რადიო-გადამცემს არ მიუღია „დანებების“ წინადადება და მათი, მოქმედება მხოლოდ მაშინ შეწყვეტილა, როდესაც მოქმედების ადგილზე რუსის ჯარის კაცები შევარდნილან და მომქმედი სამი ახალგაზრდა რადიო - გადაცემის პროცესის დროს ხიშტებით განუგმირავთ.

„ტფილისელმა ქართველებმა სთქვეს: აჯანყებულები შეიარაღებულები იყვნენ პატარა ცხელი იარაღით და თვითნახელარი ბომბებით, რომელიც იხმარეს რუსის ჯარის წინაალმდეგ.

„ნიუ-იორკელის თქმით აჯანყების რამოდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ტფილისს ესტუმრა კომუნისტური ჩინეთის ლიდერი ჩუ-ტე, ხელისუფლებამ განსაკუთრებული ზომები მიიღო ქართველი სტუდენტების წინაალმდეგ და ისინი ჩაჰკეტა „საერთო საცხოვრებელ შენობებში“.

„ბ-ნმა რ. შვარცმა სთქვა: ქართველი, რომელიც ვნახე ლენინგრადში და ვემუსაიფე, ადასტურებდა, რომ საქართველოში არსებობს ღრმა სიძულვილი რუსული ბატონობის მიმართ და ქართველებს ღრმა რწმენა აქვთ, რომ ამას ბოლო მოეღება და საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგება“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციამ საკმარისად სწერა მარტის მოვლენებზე და დარწმუნებული ვართ, ბ-ნი რ. შვარცი საბჭოთა კავშირიდან უფრო ადრე დაბრუნდებოდა, ვიდრე „ტაიმსის“ რედაქციამ საჭიროდ დაინახა მისი ნაამბობის გამოქვეყნება. თუმცა დაგვიანებით. მაგრამ ამაში ჩვენ ვხედავთ ერთის მხრით თავისი პირვანდელი მცდარი ვერსიიდან თავის განთავისუფლების ცდას, ხოლო მეორეს მხრივ, შეუძლებლად მიგვაჩნია „ტაიმსის“ მდიდარ საინფორმაციო წყაროს გამოჰპაროდა საქართველოში არსებული მეტად მძაფრი მდგომარეობა და ჩვენი აზრით ეს არის ცდა, რათა მომავლისათვის გზა გაკაფული იყოს ქართული მოვლენების სწორად დასაფასებლად.

უტყუარი და მრავალგზით შემოწმებული წყაროების მოხედვით, ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და მეტად სერიოზული მოვლენების წინაშე ვდგევართ.

ქართველი ერის ანტირუსულ სულისკვეთებას ველარ ჰფარავენ თვით კომუნისტური პრესა და მოსკოვის ახალი ლაქიები. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ქართული კომუნისტი“ს აგვისტოს 23-ს ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ანგარიშები.

მოსკოვის „თვალმა“ მჟავანაძემ იერიში მიიტანა სახელმწიფოებრივ - საზოგადოებრივ და თვით პარტიულ ორგანიზაციებზე, რადგანაც, თურმე, საქართველოში უნაკლოდ არა სრულდება საკავშირო პარტიის მეოცე კონგრესის გადაწყვეტილებები, ხოლო ქართულ ინტელიგენციას: მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნებს და სხვა, „იმპერიალისტების აგენტ ბერიას შემონახული ნაციონალისტები“ უწოდა. „ვის რაში უნდა ივ. ჯავახიშვილის, ბერძენიშვილის, ინგოროყვას და სხვების ფეოდალური საქართველოს ისტორიები, რატომ არავინ იფიქრა ოქტომბრის შემდეგი დროის ისტორიის დაწერა“-ო, მქუხარედ აცხადებს მოსკოვის მორია და ამატებს: „საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ცალკეულ მეცნიერულ შრომებში და მწერალთა ნაწარმოებებში აპარებდნენ ლენინიზმისათვის უცხო ნაციონალისტურ უბადრუკ იდეებს. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივებს სათანადო წინააღმდეგობა არ გაეწია. მაგალითად, ქართულ და რუსულ ენებზე მრავალგზის გამოიცა ისეთი **უაღრესად** ნაციონალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი წიგნი, როგორიც არის შ. დადიანის რომანი „იური ბოგოლიუბსკი“. ზუგდიდის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებში გამოქვეყნდა მ. გურიელის „ზღაპარი“, რომელიც მიმართულია რუსი ხალხის წინაალმდეგ. უკანასკნელ დრომდე გასავალი ჰქონდა 1919 წელს გამოცემულ დ. ჭიაბროვის წიგნს „საქართველო და რუსეთი“, რომელიც თავისი შინაარსით კონტრ-რევოლუციურია.

„საქართველოს სამეცნიერო შრომებში და მხატვრულ ნაწარმოებებში საქართველოს ისტორიული წარსული ანტი - მარქსისტული პოზიციებიდან შუქდება... ამ შრომებში მიჩქმალულია რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი პროგრესიული მნიშვნელობა“ და სხვა.

აი ქართველო, მოსკოვის ახალიპრინცების სიანჩხლის ნამდვილი მიზეზი, აი რატომ აყეფებენ თავის ქართველ-ფინიებს! მოსკოვის მიზანია, ყოველგვარი საფასურით დააჯეროს ქართველი ხალხი, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მისი რუსეთის პროვინციად გადაქცევა „უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის“ აქტი იყო. მაგრამ, რადგან ქართველი ერი მეტ ანგარიშს უწევს ისტორიის მწარე გაკვეთილებს და არა მჟავანაძეს ლაქიურ წკმუილს, ამიტომ „ძირს მეფეების, მთავრების და მხედართ - უფროსების“ საქართველო და „გაუმარჯოს რუსული ჩექმით გადათელილ და რუსული სიველურით გაბედნიერებულ“ საქართველოს! მაგრამ ქართველი ერი ჟუკოვ-ხრუშჩოვის „ბედნიერების“ ამ ფორმულასაც არა ღებულობს; ამიტომ საჭიროა მისი ხელახალი „გადახვნა“; ამ შემთხვევაში არა სტალინის ბრძანებით და ბერიას ხელით, არამედ ჟუკოვ - ბულგანინ - ხრუშჩოვის ბრძანებით და მჟავანაძის ხელით.

ყრილობაზე დამსწრე მინისტრები, პარტიული და საზოგადოებრივი უწყებების წარმომადგენლები დაეთანხმნენ მოსკოვის ლაქიას, მოიბოდიშეს და აღუთქვეს, რომ ამიერიდან უფრო მეტი ენერგიით შეებრძოლებიან „ქართულ მავნებელ ნაციონალიზმს“.

ქართველი ერის „მავნებელი ნაციონალიზმი“ გამოიხატება თავისი ეროვნების, საკუთარი ენის, კულტურისა და ისტორიული ტრადიციების დაცვაში და ამის აღმოფხვრას ჰპირდებიან მოსკოვს თავისი ქართველი ლაქიები.

ამ აღთქმის შესასრულებლად რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ უკვე მიიღო ზომები. მან გააძლიერა რუსული ენის, რუსული ისტორიის, ლენინიზმ - მარქსიზმის და საბჭოთა კავშირის ისტორიის საათები, არა მარტო უმაღლეს, არამედ საშუალო და პირველ-დაწყებით სასწავლებლებშიც. სხვა და სხვა დაბასოფლებში, თითქოს ხალხის მოთხოვნით, იხსნება რუსული სკოლები. ამ წესით, თანდათანობით იდევნება საქართველოდან ქართული ენა, ქართული ისტორია; ფერხდება ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და თვით ქართველი ერის ფიზიკური არსებობა უდიდეს საფრთხეში ვარდება.

მოსკოვის ამ ახალმა ოკუპაციამ, რუსული შოვინიზმის მაქსიმალურმა გამომჟღავნებამ და მისმა ტლანქმა დაწოლამ გამოიწვია ქართველი ერის ენერგიული რეაქცია და აჯანყება.

რამდენედაც წმინდა არის ჩვენს კურთხეულ მიწაზე დაქცეული სისხლი და ამ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული მამულიშვილები სიყვარულითა და სასოებით მოიხსენიება, იმდენად მეტად ავალდებულებს, ეს გარემოება, უცხოეთში გაბნეულ ქართველობას —თავი გაინთავისუფლოს ჯგუფური და პირადი მოსაზრებებიდან, ამაღლდნენ სამშობლოს უზენაეს ინტერესების გაგებამდე, დასძლიონ გულთა თქმა და შექმნან ერთი ავტორიტეტული პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელიც ეროვნულ ენერგიას გონიერად და და მოზომილად ქვეყნის სამსახურად წარმართავს.

## საჩოთირო საკითხი

ამ ჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს გავარჩიოთ კაცობრიობის წინაშე მწვავედ წამოჭრილი „სუეცის არხის“ საკითხი. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, ცალი თვალის გადავლებით მაინც შევეხოთ იმ ნაპერწკალს, რომელსაც მრავალი მიმართულებით შეუძლია დაანთოს ხანძარი.

ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციამ დაინტერესებული ქვეყნების სწრაფი რეაქცია გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა, ანგლო - ფრანგულმა კოალიციამ საჭიროდ დაინახა ყველა მეზღვაოსნე ქვეყნების კონფერენცია მოეწვია ლონდონში. მოწვეულ იქმნა თვით ეგვიპტეც, როგორც მთავარი დაინტერესებული მხარე. ნასერის პოზიცია იმდენად ნათელი იყო, რომ მის უარს არც ერთ წრეში არავითარი გაკვირვება არ გამოუწვევია.

ეგვიპტის მონაწილეობა ლონდონის კონფერენციაზე ირიბულად მაინც დადასტურება იქნებოდა, რომ ის სცნობს დასავლეთელების უფლებას სუეცის არხის მართველობისა და პატრონობის საქმეში. გარდა ამისა, როგორც კონფერენციის მონაწილე, მსჯელობასთან და თავის პოზიციის დაცვასთან ერთად, იძულებული იქნებოდა პარტნერებისათვის ანგარიში გაეწია, მათი თეზა მოესმინა და საჭირო კომპრომისი გაეკეთებინა. ამ საჩოთირო მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ეგვიპტის დიქტატორმა ანგლო - ფრანგული წინადადება უარყო და ლონდონის კონფერენციას არ დაესწრო. ამით ნასერმა გაზარდა თავისი პრესტიჟი მთელ არაბულ ქვეყნებში, რომლებსაც ეგვიპტის დღევანდელი მფლობელი მიჩნეული ჰყავთ თავის პირველ კაცად და პორტ-პაროლად და რომელზედაც ფიქრობენ, რომ ეს არის პიროვნება, რომელმაც თეორია,—რომ დასრულდა კოლონიალიზმის ეპოქა,—ფაქტად უნდა აქციოს. ნასერიც უსათუოდ დიდ ყურადღებას აქცევს და დიდ ანგარიშს უწევს არაბულ ქვეყნებში თავისი პრესტიჟის შემონახვას, რადგან მათი სიმპატიის და მხარის დაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნება თავისი ამბიციების განაღდება და დასავლეთური ჯაჭვის აწყვეტა.

ეგვიპტის დიქტატორმა გარკვევით განაცხადა, რომ სუეცის არხის ნაციონალიზაცია საბოლოოა და ამ გადაწყვეტილებაში არავითარ მოდიფიკაციას ადგილი ალარ ექნება. „ეს არის ეგვიპტის შინაური საკითხი და არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება ჩაერიოს და ჩვენი ტერიტორია თავის გუნებგანწყობილებით მოიხმაროს და მართოსო“. მეორე მხრივ, როგორც ინგლისის პრემიერი აცხადებს, ეს არის ყველა მეზღვაოსნე ქვეყნებისათვის „სამკვდრო-სასიცოცხლო“ საკითხი და დაინტერესებულ მხარესაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იმ მხარეში თავისი „სასიცოცხლო ინტერესები“ დაიცვან. თუმცა დასავლეთელების საქციელს თავიდანვე აჰყვა ის სუსტი ხაზი, რომლის გაყოლებაზეც შეიძლება მათი გადაწყვეტილების შერყევა და მათი „ბრძოლის წაგება“.

ეს არის სწორედ ლონდონის კონფერენცია, მისი შემადგენლობა და მისი გაგრძელება.

რამდენადაც ვაღიარებთ და მხარს უჭერთ იმ თეორიას, რომ უნდა დასრულდეს კოლონიალიზმის ეპოქა და დიდი ინტერესით და აღფრთოვანებით უყურებთ ამ მიმართულებით განვითარებულ მოვლენებს, იმდენად საფათერაკოდ და საშიშოდ მიგვაჩნია ამ როლში რუსეთის გამოსვლა. ზავისა და მშვიდობიანობის წყურვილით გატაცებულ თავისუფალ-დემოკრატიულ ქვეყნიერებას არ უნდა ანგარიში გაუწიოს, რომ „კონფლიქტების“ მშვიდობიანად მოსაგვარებლად მოწვეულ კონფერენციებზე რუსეთის მიპატიჟებით თან მიაქვთ ის ნალმი, რომელმაც არა მარტო კონფერენცია, არამედ მთელი კაცობრიობა უნდა ააფეთქოს. ერთა განთავისუფლების რუსულ ვერსიას კაცობრიობა უკვე იცნობს და უფრო კარგად იცნობს საქართველო და კავკასია, პოლონეთი და უკრაინა, ჩეხოსლოვაკია და რუმინეთი და სხვა ერები, რომლებიც საკუთარ სხეულზე განიცდიან რუსული ჩექმის სიმწვავის და სიტლანქეს. როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, რუსეთისათვის დასრულებულია კოლონიალიზმი იმ ქვეყნებში, რომლებიც მათ ორბიტში მოიქცნენ და რომლებსაც მათი „კომისარი“ მართავს, ხოლო ყველა დანარჩენები კვლავ განიცდიან მონობას და ჩაგვრას და იქამდე შეუწყობს ხელს მათ ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას, ვიდრე თავის ბატონობას არ განამტკიცებს და არ დაამზღვევს, ე. წ. კოლონიალური ქვეყნებიც, თანახმად ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის ფსიქოლოგიისა და ლოღიკისა მაგრად ეჭიდებიან რუსეთის მფარველობას და უყურადღებოდ სტოვებენ რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთა განთავისუფლების“ პრაქტიკას. დაინტერესებულ ქვეყნებს თვალი უნდა გადაევლოთ რუსეთის ისტორიისათვის და იქ მრავლად ნახავდნენ „თავის დასამშვიდებელ“ მაგალითებს, ან გადაეხედათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგი დროის რუკისათვის და დაინახავდნენ თუ რა ბედი ეწვია რუსეთის მიერ „განთავისუფლებელ“ ერებს და რა ჯოჯოხეთი დაატრიალა მის მიერ მიტაცებულ და მიკუთვნებულ ქვეყნებში.

ამ თვალთმაქცური პოლიტიკით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთმა საგრძნობლად გაზარდა თავისი ტერიტორია და ემუქრება არა მარტო მისგან „განთავისუფლებულ“ ერების ეროვნულ თვითარსებობას, არამედ მთელი სოფლიო საფრთხის წინაშე დააყენა. თუ რუსეთს თავისი მიზნების განაღდება აცალეს, თუ მან ფეხი მოიდგა აზიის, აფრიკის და აღმოსავლეთის „კოლონიალურ“ ქვეყნებში, მეტე ზედმეტი იქნება მსოფლიო ზავზე და მშვიდობიანობაზე ლაპარაკი და თვით ის ქვეყნებიც გეოგრაფიული რუქიდან წაიშლება, როგორც წაიშალა ჩვენი კურთხეული სამშობლო და სხვა მეზობელი ერები.

მიუხედავად ამ გარემოებისა, ლონდონის კონფერენციის ინიციატორებმა საჭიროდ და შესაძლებლად დაინახეს რუსეთის მოწვევა და შეპილოვის რჩევა - დარიგების მოსმენა. წინდაწინი ვარაუდით ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ლონდონში რუსული დელეგაცია შეიმოსებოდა ერთა განმათავისუფლებლის მანტიით და ის გადაიქცეოდა შეკრებულობის მეხრუქად, რათა კონფერენცია უშედეგოდ დასრულებულიყო. ამის ლოღიკური გაგრძელებაა საკითხის გაერთიანებულ ერებში გადატანა.

ლოღიკური იქნებოდა, რომ ლონდონის ინიციატორიბს საკითხი გაერთიანებულ ერებში დაესვათ, ვინაიდან მისი დანიშნულება სწორედ ის არის, რომ მსოფლიოს ყოველ კუთხეში წამოჭრილი კონფლიკტი გაარჩიოს და მისი მშვიდობიანი გზით მოგვარება სცადოს. თუმცა არც ეს უშველიდა მდგომარეობას, რადგანაც აქაც რუსული დელეგაცია გვევლინება ერთა დამოუკიდებლობის და „დაჩაგრული ერების“ დამცველის როლში, და, თუ გავითვალისწინებთ მისი ვეტოს უფლებას თავდაცვის საბჭოში მის შედეგებსაც ადვილად წარმოიდგენს მკითხველი.

ყოველ მსგავს შემთხვევებში რუსეთის პრესტიჟი იზრდება თავისუფლებისათვის მებრძოლ ქვეყნებში და ეცემა და მდაბლდება დემოკრატიული ქვეყნების, რომელთა პირდაპირი და ნამდვილი დანიშნულება სწორედ „დაჩაგრულ ერთა“ ხელის გაწვდა და წაქცეულის წამოყენება არის. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ აღმოჩნდა არც ერთი მოღვაწე, არც ერთი ქვეყნის დელეგატი, რომელიც საჯაროდ, კონფერენციებზე თუ გაერთიანებულ ერებში რუსულ დელეგაციას ნიღაბს ჩამოხსნიდა და გაახსენებდა მათი „ერთა განთავისუფლების“ ნამდვილ პრაქტიკას. არავის მოუვიდა თავში, ამ „მშვიდობიანობის და ეროვნული თავისუფლების“ მქადაგებლებისათვის ერთხელ მაინც ეკითხათ: რატომ წაიშალნენ გეოგრაფიული რუკიდან საქართველო და კავკასია, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიის ქვეყნები და სხვა, და თუ რუსეთი ამ ზომამდე დაინტერესებულია „ერთა თავისუფლებით“, რატომ არ აძლევს მსოფლიოს მაგალითს და არ გაანთავისუფლებს იმ ერებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წინ თუ მერე შთანთქა და ჩაყლაპა რუსულმა იმპერიალიზმმა?

რუსეთთან ურთიერთობაში ამ მწარე ფაქტებს უნდა გაუწიონ ანგარიში ეროვნული თავისუფლებისათვის აღგზნებულმა ქვეყნებმაც.

დ. ჩატარა.

## დასასრულის დასაწყისი

... „ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ ეს საკითხი პარტიის ფარგლებს გადასცდეს და პრესაში გავიდეს. ამიტომაა, რომ მისი განხილვა ხდება ყრილობის დახურულ სხდომაზე. ჩვენი საზღვარი არ უნდა გადავლახოთ, მტრებს ხელში იარაღი არ უნდა მივცეთ და **ჩვენი ჭუჭყიანი საცვლები** მათ დასანახად არ უნდა ვრეცხოთ. მევფიქრობ, რომ დელეგატები გაიგებენ და სწორედ დააფასებენ ამ წინადადებას“...

ამ სიტყვებით გააფრთხილა ნიკიტა ხრუშჩოვმა ამა წლის თებერვალში საკავშირო კომპარტიის ყრილობა მის სტალინის გამგვირგვინებელ საიდუმლო მოხსენების დროს.

გაფრთხილებამ არ გასჭრა. დელეგატებმა გაგებით კი გაიგეს, მაგრამ ვერ დააფასეს ამ დიდი საიდუმლების მნიშვნელობა და ის მეორე დღესვე მსოფლიოს მოედო.

რა თქმა უნდა, კრემლის დღევანდელ კოლექტიურ დიკტატორებს ვერ დავწამებთ ისეთ გულუბრყვილობას, თითქოს მათ სერიოზულად სჯეროდეთ ასეთი სენსაციის დაფარვის გუშინდელ ჯამიტლაკიებისათვის უთუოდ ასეთი „რისკიც“ ამართლებდა მაღალ პედესტალიდან გადმოყირავებულ „მაშვრალთა მამის“ შუბლიდან მოხსნილ „შარავანდედის“ ვის შესაძლებლობა. მაგრამ „წაქცეულ ტირამისაკუთრებას და თავიანთ პრესტიჟ-ავტორიტეტის შექმნა - განმტკიცების ილუზიებს, ურომლისოდაც არც ერთ დიკტატურას არსებობა არ უწერია. აბა სტალინის მიერ გამეფებულ სისხლიან ინკვიზიციის ასე საქვეყნოდ გაბახებას რომ სხვა რამ მიზანი არ გააჩნდა ეს იმით დადასტურდა, რომ ამ სიტყვიერად დაწუნებულ და წყევლა-კრულვას მიცემულ სისტემის ოდნავ საქმიანად გამოსწორებაზე არ უფიქრიათ, გარდა შიგნით სტალინის მიერ ნაადრევად საიქიოს მივლინებულ რამოდენიმე ათეულ ბობოლა კომუნისტის რეაბილიტაციისა, გარედ კი ტიტოიზმის ლეგალიზაციის და „მშვიდობიან თანაცხოვრების“ ლოზუნგის გადასროლისა. და მთელი ეს შიშველ ძალმომრეობაზე აგებული რეჟიმი, აწ უკვე „ლენინიზმად გადანათლული, ხელუხლებლად დარჩა...

სამაგიეროდ, ჩვენ არა ვფიქრობთ, ხრუშჩოვსა და მის თანადიკტატორებს მცირედი წარმოდგენა მაინც ჰქონდეთ, რომ „ჭუჭყიანი საცვლების“ მზეზე გამოფენა და მათი აშმორებული რეჟიმისათვის ნიღაბის ჩამოხსნა, რა საბედისწერო გამოდგებოდა, როგორც მოსკოვის ახალი მფლობელების, ისე კომუნისტური ოლიგარხიისათვის და რა რეაქციას გამოიწვევდა შინ და გარედ.

როდესაც მიმდინარე წლის 17 აგვისტოს გერმანიის უზენაესმა სამსჯავრომ კარლსრუჰეში კომუნიზმი ევროპიულ(?) დემოკრატიულ ცხოვრების სტილისთვის მიუღებელ, თავისუფლებისა და ადამიანის ღირსებისათვის კი დამამცირებელ სისტემად აღიარა და თვით პარტია აღკვეთა, არავინ მოელოდა, რომ სულ რამოდენიმე კვირის განმავლობაში ისტორიული მოვლენები ამ განჩინებას რეალურ გამართლებას მისცემდნენ. სინამდვილემ ეს თეორიულად წამოყენებული საკითხი პრაქტიკულად დაადასტურა და დღეს ისინიც კი, ვინც მაშინ ამ აქტს არ იზიარებდნენ კითხვის წინაშე დააყენა—შესაძლებელია, დასაშვებია თუ არა ისეთი ქვეყნის ცნობა, მასთან კავშირი, ურთიერთობა, თანამშრომლობა და თანაცხოვრება, რომლის არსი, იდეოლოგია და პრაქტიკა იმდენად ბილწი, უზნეო და აუტანელია, რომ მის მორჩილებაში მოქცეული და მის მეთოდებს ნაგემები ორი ევროპიულ კულტურის მატარებელი ერი, პოლონეთი და უნგრეთი, საარაკო თავგანწირვით სწორედ ისეთ მომენტში ლამობს მძიმე უღლის გადაგდებას, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკური ამინდი მათ არავითარ საამისო შანსებს არ ჰპირდება.

პოლონეთი და უნგრეთი! ნურავის გაუკვირდება თუ ჩვენ, მიუხედავად იქ დატრიალებულ ამბების გარეგნულ სხვადასხვაობისა, ორივე ამ ქვეყნის ერთად დასახელებით, შინაარსის იდენტივობაზე მიუთითებთ. ცივი რევოლუცია პოლონეთში, ცხელი და სისხლიანი უნგრეთში. მოსკოვის მორჩილ კომუნისტურ ფრთასთან დაპირდაპირებული ნაციონალ - კომუნისტური მეთაურობა პირველშიც და მეორეშიც. სინამდვილეში აქაც და იქაც მრისხანების ღერძი და სათავეა არა კომპარტია, არამედ მის გარეშე მდგომი ხალხის სულისკვეთება; რომელმაც ფაქტიურად ამ პარტიის ნებისყოფა დაიმორჩილა, საკუთარ ნების ამსრულებლად გაიხადა და მას მოქმედების მიმართულება უკარნახა. მოსკოვის ქვეყნიდან განდევნა, მისი ბატონობის აღკვეთა და ერის ყოფა-ცხოვრების უცხო გავლენისაგან განთავისუფლება. ორი რევოლუცია, ერთი ფენომენი, ერთი პროგრამით, ერთი შინაარსით, ერთი ლოზუნგით: ძირს მოსკოვი, გაუმარჯოს ეროვნულ თავისუფლებას! აი, მოსკოვის კოლექტიური დიკტატორების მიერ სტალინის განგვირგვინების შედეგად ახალი „კოექზისტენციის“ კურსის კარნახით ლეგალიზებულ ტიტოიზმის გადამდებ სენით წამოჭრილი საშიშარი პრობლემა, რისი თავის გართმევა სუსტ კოლექტიურ დიკტატურის ძალას აღემატება და „მონოლიტურ“ საბჭოთა იმპერიას რღვევას უმზადებს.

ამ სისუსტისა და დაბნეულობის უტყუარი ნიშნები, რაიც კოლექტიურ დიკტატურაში არსებულ უთანხმოებას ამხელს, კრემლის პრაქტიკისათვის ჯერ კიდევ გაუგონარი სიაშკარავით სწორედ ამ ამბოხებით მოცულ ქვეყნებში გამომჟღავნდა. პოლონეთში მოსკოვმა მოინდომა მის საწინააღმდეგოდ მიმართულ ცივ რევოლიუციის თბილისისა და პოზნანის მეთოდით იარაღით ჩაქრობა— და საამისოდ წითელი ჯარებიც აამოძრავა. მაგრამ საკმარისი გახდა პოლონეთის ნაციონალ - კომუნისტური მთავრობის პროტესტი და საყოველთაო აჯანყების მუქარა, რომ მოსკოვმა უკამ დაიხია და თავისი ჯარები ისევ ყაზარმებში შედენა.

სამაგიეროდ უნგრეთში მოსკოვმა მოსინჯა ბუდაპესტის აჯანყების ჩაქოლვა, თვით ქალებისა და მცირეწლოვანთა დაუზოგველად ათასობით ხალხი გაჟლიტა კიდეც. მაგრამ როდესაც ამ ბარბაროსობის შედეგად აჯანყება მთელ უნგრეთს მოედო და თვით უნგრეთის მხედრობა და პოლიცია ხალხის საყოველთაო რისხვას შეუერთდა, უნგრეთის ნაციონალ-კომუნისტური მთავრობის მოთხოვნილებით მოსკოვმა ცეცხლი შეწყვიტა, ჯარები აჯანყების ცენტრებიდან გახიზნა და საკუთარ ელჩის პირით (რაიც მაშინვე მოსკოვის რადიომ დაადასტურა) ოფიციალურად ქვეყანას ამცნო, რომ „ვინაიდან უნგრეთის მთავრობა უკვე საკმაოდ ძლიერია შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად“, ის ხელს იღებს ჩარევისაგან და თანახმაა მოლაპარაკება გამართოს უნგრეთიდან და სხვა სახალხო დემოკრატიებიდან ჯარების გასაყვანათო.

ცხადია, ამ განცხადებით მოსკოვმა სრული კაპიტულაცია გააკეთა აჯანყებულთა წინაშე და მთელმა ქვეყანამაც რევოლუციის სრული გამარჯვება დაადასტურა.

ზეიმი ნაადრევი გამოდგა. ჩვეულმბისადმი ერთგულებით მოსკოვმა აქაც იმუხთლა, მზაკვრულად, უტიფრად სიტყვა გასტეხა, დაპირების რაიმე მომიმეზებით წინასწარ გაუბათილებლად რამოდენიმე დღის განმავლობაში უკრაინიდან და რუმინეთიდან უამრავი სატანკო და საჰაერო დივიზიები მორეკა, განუკითხავად, ბოლშევიკური სისასტიკით ქვეყანას მიუსია და გამარჯვებული სახალხო რევოლიუცია სისხლის მორევში ჩაახრჩო.

მართალია, ამ წერილის წერის დროს აჯანყებულთა მცირე გუნდები აქა-იქ წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობენ, მაგრამ ეჭვი არ არაა, რევოლიუციის ბედი გადაჭრილია, უნგრეთი სისხლიდან იცლება, აგონიის უკანასკნელ წუთებს განიცდის და მის საშინელ ტრაღედიას ვერაფერი შეაჩერებს.

SOS! გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, რუსის ტანკები სრესენ უნგრეთის მოსახლეობას, ანადგურებენ მათ სახლკარს, ჩვენ ვიბრძვით და ვიხოცებით უნგრეთის და ევროპის თავისუფ-

## სუეცის არხი

ეგვიპტის მთავრობის ივლისის 26-ს დეკრეტმა სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ, ისედაც მძიმე საერთაშორისო მდგომარეობა გაართულა და ჰაერში „თოფის წამლის სუნი“ დაატრიალა. რათა ნათლად წარმოვიდგინოთ ეგვიპტის მთავრობის აქტით გამოწვეული კრიზისის საერთაშორისო მნიშვნელობა, საჭიროა თვალი გადავავლოთ თვით არხის ისტორიას, მის თანდათანობით ევოლუციას და მის საკაცობრიო დანიშნულებას.

მართალია, ამ არხის პირვანდელ სახესაც თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ადამიანს სასაცილოდ მოეჩვენება სურათი, თუ შეადარებს თანამედროვის იმასთან. რასაც არხი წარმოადგენდა 1869 წლის ნოემბრის 17-ს, ე. ი. გახსნის დღეს. იმ დროს იყო ცუდად ნაგები „წყალპირა გზა“. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს მის „კეთილ მოწყობას“, თუ გაითვალისწინებს, რომ 1870-დან 1884 წლებში საშუალოდ არხში ოთხი გემი გადიოდა და მის გავლას უნდებოდა 40 საათი.

საიდ ფაშას მთავრობამ ამ არხის კონცესია მისცა „უნივერსალურ კომპანიას“, რომელმაც არხის გაჭრისათვის დახარჯა 286 მილიონი ფრანკი და მისი მოწყობილობისათვის 150 მილიონი.

1882 წელს კოლონელი არაბი ფაშა აუჯანყდა ტევფიკ ფაშას ალექსანდრიაში და არეულობა მთელ ეგვიპტეს მოედო. იქ მდგომ ინგლისის ფლოტის ადმირალმა სეიმურმა ცეცხლი გაუხსნა ალექსანდრიას, ხოლო ინგლისის გარეშე საქმითა მინისტრმა ლორდ გრანვილმა იტალიას მიმართა, ჩარეულიყო ეგვიპტის საქმეში, აღედგინა წესრიგი, უზრუნველეყო ეგვიპტეში მყოფი ევროპელები და არხში თავისუფალი და უშიშარი მოგზაურობა. ამ მიზნით ინგლისის მინისტრი წინადადებას აძლევდა იტალიის მთავრობას: დაეკავებინა ეგვიპტის ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტები. როგორც ცნობილია, იტალიამ ინგლისის წინადადება არ მიიღო და გამოსთქვა აზრი რომ ამავე მიზნისათვის შექმნილიყო ინტერნაციონალური საზოგადოება. მაშინ ინგლისმა თვითონ იკისრა ეს საქმე და მისი აღსრულება დაავალა გენერალ ლორდ ვოსლეის, რომელიც დაუყონებლივ გადავიდა პორტ საიდში ერთი ინგლისური და რამდენიმე ინდოეთის სამხედრო ერთეულებით. ინგლისელებმა მოახდინეს არხის ოკუპაცია და სექტემბრის 13-ს კოლონელ არაბი ფაშას ჯარები ტელ-ელ-კებირთან სასტიკად დაამარცხეს და გაანადგურეს. სექტემბრის 25-ს ინგლისელებმა დაიკავეს ეგვიპტის დედა-ქალაქი კაირო და აღადგინეს ტევფიკ ფაშას მმართველობა. მას შემდეგ ინგლისი ეგვიპტეში დარჩა როგორც „დროებითი ოკუპანტი“. ამ დროიდან იწყება ეგვიპტის გარდაქმნა და მისი სახელმწიფოებრივი ევოლუცია. ეგვიპტის ეროვნულ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სახელმწიფოებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოვებულ ლორდ კრომერს, რომელიც 1907 წლამდე ითვლებოდა ინგლისის წარმომადგენლად ეგვიპტეში.

1883 წლის ნოემბრის 30-ს მოხდა „არხის კომპანიასა“ და ინგლისელებს შორის შეთანხმება, რომელიც ცნობილია „ლონდონის პროგრამით“ და ითვალისწინებდა არხის გაგანიერებას, გაღრმავებას და იმდენად განათებას, რომ ღამეც ყოფილიყო შესაძლებელი მოგზაურობა. ამ პროექტისათვის დაიხარჯა ორასი მილიონი ოქროს ფრანკი.

ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის არხი ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და მოხდა მისი ხელახლად შეკეთება, რომელიც ცნობილია „მესამე, მეოთხე და მეხუთე პროგრამის“ სახელით. ეს მოხდა 1908 წელს. ზღვაოსნობის განვითარება არც ამით დაკმაყოფილდა და 1921-1934 წლებში მიიღეს „მეექვსე პროგრამა“. 1945 წლის შემდეგ არხის ადმინისტრაცია იძულებული იყო მიეღო „მეშვიდე პროგრამა“, რომელიც 1951 წლის ივნისის 23-ს დასრულდა. არხის გაუმჯობესებასთან ერთად გააუმჯობესეს და ორმაგად გაზარდეს თვით ნავთსადგური. ამგვარი თანდათანობითი შეკეთებით გადაიქცა სუეცის არხი მსოფლიო მნიშვნელობის პუნქტად. თუ თავის არსებობის პირველ წლებში წლიურად გადიოდა 500 გემი და თითო არ აღემატებოდა 2 000 ტონას, 1955 წელს გაიარა 13 000 და მრავალი მათგანი აღემატებოდა 45 000 ტონას.

ამ კრიზისის დასაწყისში არხის ადმინისტრაციის განკარგულებაში იყო 205 მფრინავი. აქედან 61 ინგლისელი, 53 ფრანგი, 40 ეგვიპტელი, 14 ჰოლანდელი, 11 ნორვეგიელი, 12 ბერძენი, 2 დანიელი, 2 იტალიელი, 2 ამერიკელი, 2 შვედი, 1 ისპანელი, 1 იუგოსლაველი და 1 პოლონელი.

არხის „კომპანია“ მრავალჯერ იქმნა რეორგანიზებული. 1924 წელს არხის აქციების რიცხვი გაიზარდა 800 ათასამდე თითო აქციის 250 ფრანკის ღირებულობით. აქედან 53 % შეიძინა ინგლისმა, 44—საფრანგეთმა, ხოლო 3 %—დანარჩენმა ქვეყნებმა. არხის ფინანსიური მდგომარეობა დღითი დღე იზრდებოდა და ყვავდებოდა. თანახმად შეთანხმებისა, არხის სუფთა შემოსავლის მხოლოდ 71 % ეძლეოდა აქციონერებს, 15 % ეგვიპტეს, დამფუძნებლებს — 10, დანარჩენი თანხა რჩებოდა არხის ადმინისტრაციის განკარგულებაში. ამ ბაზაზე იყო დაშენებული „უნივერსალური კომპანია“, რომელმაც მოქმედება დაიწყო 1858 წლის დეკემბრის 15-ს.

ინგლისის მიერ ეგვიპტის ოკუპაციის შემდეგ საჭირო შეიქმნა საერთაშორისო შეთანხმება, რათა არხით სარგებლობის უფლება ყველასათვის ცხადი ყოფილიყო. ამ მიზნით იყო მოწვეული კონსტანტინეპოლის კონფერენცია 1888 წელს. მონაწილეობდნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი, ისპანია და ოსმალეთი. თეორიულად აღიარებული იყო ამ ტერიტორიაზე ეგვიპტის სუვერენობა. კონფერენცია დასრულდა სრული შეთანხმებით, რომელსაც დამსწრე ქვეყნების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქტომბრის 29-ს. შეთანხმების პირველ მუხლში ვკითხულობთ: „არხი ყოველთვის უნდა იყოს გახსნილი, როგორც ზავის, ისე ომის დროს და ყოველი ქვეყნის გემს უნდა შეეძლოს თავისუფლად, დროშის ჩამოუხსნელად მოგზაურობა“-ო. ამ სახით მოაღწია არხმა და ინგლისის მიერ ყოველთვის „დროებით“ ოკუპაცია-ქმნილმა ეგვიპტემ ჩვენს ეპოქამდე.

1902 და 1904 წლის თათბირებზე იტალიამ და საფრანგეთმა სცნეს დიდი-ბრიტანეთის პრივილეგიური მდგომარეობა ეგვიპტეში, რადგან თვით დიდმა ბრიტანეთმა სცნო მსგავსი მდგომარეობა საფრანგეთისა მაროკოში და იტალიისა — ტრიპოლიტანიაში. 1906 წელს ინგლისმა გააფართოვა ეგვიპტის საზღვარი: მიიტანა აკაბის ყელამდე და შიგ მოექცა სინაის უდაბნო, რომელიც ამ დრომდე შედიო-

ლებისათვის“. აი, 4 ნოემბრის საღამოს ბუდაპესტის რადიო-სადგურიდან მსოფლიოსადმი მიმართული უკანასკნელი ამოკვნესა, რაიც რუსის ყუმბარამ იმ წამშივე შესწყვიტა და დაადუმა.

კვლავ დაეშვა რკინის ფარდა მოსკოვის ვერაგობით მადიართა ხალხზე სისხლიან შურისძიების დასაფარავად და მალე უთუოდ მოსკოვი და მისი ხიშტებით დაბიჯგული უნგრეთის მთავრობად წოდებული იუდები სრულ დამშვიდებასაც გვაუწყებენ და ეს იქნება ის სიწყნარე, რომელიც ყოველგან და ყოველთვის სასაფლაოს ახასიათებს.

კომპარტიის მეოცე ყრილობაზე ხრუშჩოვმა სტალინის ბარბაროსობათა დამახასიათებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთთაგან მეორე მსოფლიო ომის დროს ყარაჩაელების, ბალკარების, ჩეჩნების და ინგუშების აწიოკება, მამა-პაპეულ მიწა-წყლიდან აყრა და ციმბირში გარეკა დაასახელა. დღეს კი იგივე ხრუშჩოვები, იმავე სტალინის მიერ წართმეულ თავისუფლებისა და ადამიანის ღირსების უკან დაბრუნებისათვის მებრძოლ მადიართა ხალხს აზიურ ურდოების (მონღოლები) მისევით ფიზიკურად სრესენ, მიწაწყალს, სარჩო-საბადებელს უნადგურებენ, მასიურად იმავე ციმბირისაკენ ერეკებიან, სოციალიზმის სახელით, იმავე სტალინის მეთოდით.

ძირს სტალინი! გაუმარჯოს სტალინიზმს! აი, ხრუშჩოვების უბადლო დიალექტიკა, აი, საბჭოთა მიერ ბრიყვთა მოსატყუებლად გადმოსროლილი „მშვიდობიან თანაცხოვრების“ ნამდვილი სახე, ფასი და შინაარსი, რისი ფარდის ახდა და მზაკვრულ მატყუარობის საქვეყნოდ გამოაშკარავება უნგრეთის გმირულ თავგანწირვის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

მოსკოვის ველურ ძალმომრეობით აღშფოთებული კაცობრიობა ზიზღმა მოიცო. ამ ზიზღის გამომხატველია ის უამრავი საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებსაც, ასევასინჯეთ, ზოგიერთ ქვეყნებში, მეოცე ყრილობის შედეგად მოსკოვის უცოდველობაში ისედაც დაეჭვებული კომპარტიებიც კი უერთდებიან და კრემლს აღვირახსნილ კოლონიალიზმს უყიჟინებენ. თუ ზოგიერთ მოსკოვის პროპაგანდით დაბრმავებულ ნეიტრალისტ - „კოექზისტენციალისტებს“ ამ დრომდე კიდევ სწამდათ ამ რეჟიმის რაიმე მორალი და მასთან მშვიდობიან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა, ასეთებს მოსკოვმა უნგრეთის **ოქტომბრის რევოლიუციის** სისხლში ჩაკვლით, საკმაოდ გონს მოსაყვანი პრაკტიკული გაკვეთილი უთავაზა.

მაგრამ გაცილებით მეტი მნიშვნელობის არის პოლონეთ-უნგრეთის სახით აღმოსავლეთ ევროპის „სახალხო დემოკრატიების“ მოსკოვის წინააღმდეგ ამოძრავება მთელი საბჭოთა რეჟიმის სამხედრო ძლიერების შერყევის მხრით. თვით კომუნისტურ პოლიტიკურ ანა-ბანაზე აღზრდილ უნგრეთის „ჰონვედისა“ და პოლიტიკურად შერჩეულ პოლიციურ ძალების ერთბაშად პირის ბრუნებამ და რევოლიუციის მხარეზე გადასვლამ, რაიც, ეჭვი არაა, ყველა დანარჩენ სატელიტებისათვის სანიმუშო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ერთბაშად გაუქრო მოსკოვს ამ ქვეყნებიდან „საჭირო მომენტში“ 100 დივიზიის გამოყვანის ილუზიები. ის იძულებულია დღეს ეს აწ უკვე მისთვის არა საიმედო ძალა მისი მხედრობის აკტივიდან ჩამოსწეროს. ამით, ცხადია, „ვარშავის პაკტს“ იმ ქაღალდის ფასიც ეკარგება, რომელზედაც ის დაიწერა.

თუ ამას დაუმატებთ, რომ მტრულად განწყობილ აღმოსავლეთ ევროპაში გაყვანილი საბჭოთა „უშიშროების სარტყელი“ ამიერიდან მოსკოვისათვის ფას-დაკარგულია, არ შევცდებით ვთქვათ, რომ ორივე ეს ფაკტი დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სახეს ღებულობს და კრემლის დიკტატურას ფათერაკს უმზადებს.

ე. რ.

ნობს. სტალინმა ბოლშევიზმს ნამდვილი, დასრულებული ფორმა და შინაარსი მისცა, რომლის განსახიერება „სტალინიზმია“. ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა ბოლშევიზმის სამეფო-იმპერია უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, ხოლო უცხო ტახტზე მჯდომმა, აკეთა რა უცხო საქმე, თავის მშობელ ქვეყანას უდიდეს მოღალატედ მოევლინა. როგორ დაუფასეს მას მისმა მემკვიდრეებმა ერთგული სამსახური, მსოფლიომ კარგად იცის. „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია წავიდეს“ ასეთი გამოთქმა სოსო ჯუღაშვილზედაც ითქმის. ასეთი ბედი უწერია ყოველ მოღალატეს. საქართველოს აღმოაჩნდა კიდევ ერთი დიდი მოღალატე, სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც ჩვენს ქვეყანას უსაზღვრო ვნება მიაყენა, გარნა მასზე მეტის თქმა არა ღირს ისე, როგორც ბერიაზე, რომელმაც უცხო, უმადურ ძალისაგან „ამხანაგური“ სასჯელი მიიღო. ბოლშევიზმის არსებობის გახანგრძლივებაში ამ სამ ქართველს დიდი სამსახური მიუძღვის და მოხდა ისე, რომ მათი გაქრობით რღვევის პროცესი არა-ბუნებრივი კონგლომერატისა სააშკაროდ გამოვიდა და ინტენსიური ხასიათი მიიღო.

თვით საბჭოთა კავშირში რღვევის პირველი მაგალითი საქართველომ მოგვცა თავისი გმირული ამბოხებით თბილისის ქუჩებზე, რომელიც არსებითად მოსკოვის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუ ქართველი ხალხის უთანასწორო ბრძოლამ ისეთი შედეგი ვერ გამოიღო, როგორც ამ ჟამად პოლონეთში და უნგრეთში, ეს ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული, გეო-პოლიტიკური მდგომარეობით და წმინდა რუსული ჯარების იქ ყოფნით აიხსნება. საქართველოს საკუთარი, კომუნისტური სამხედრო ძალაც არა აქვს. ამ უკანასკნელ გარემოებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მოსკოვის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც პოლონეთში და, მეტადრე, უნგრეთში მოხდა, ეს უდიდესი მარცხია ბოლშევიზმის ცენტრის—მოსკოვისა და მისი დეკადანსის მაჩვენებელი, რომლის განვითარება საბედისწერო გახდება ამ კაცობრიობის ამღვრევ ძალისა. ვარშავაში შეთითხნული სამხედრო ბლოკი ფიქციად იქცა. მოსკოვი მას ველარ დაეყრდნობა, რაც მისი მნიშვნელოვანი დასუსტებაა. ამიტომაა, რომ, რაც მას ასუსტებს, ის წმინდა მოგებაა თავისუფალი მსოფლიოსი. კრემლის ახლანდელ ბატონებს ჯერ კიდევ შეუძლიათ ვით შემოდგომის ბუზს, მწარედ დასუსხა, როგორც ამ ჟამად თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრეთში, ხოლო საქმეთა ლოღიკურ დენას ის ველარ შეაჩერებს. რუსეთი ეს მეორეჯერ სჩადის ბარბაროსობას უნგრეთის ხალხის მიმართ. პირველი იყო 1848 წელს, როდესაც რუსეთის შავრაზმულმა ჩექმამ სისხლში ჩაახრჩო უნგრეთის პატრიოტების ბრძოლა. დღეს, 108 წლის შემდეგ, იგივე რუსეთი ეხლა წითელი ფერით მოვლინებული, უარეს ბარბაროსობას სჩადის და თვით უნგრეთის ნაციონალურ კომუნისტებსაც კი ანადგურებს.

ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია ამ მამაცი ერის ბრძოლა თავისი მეობის აღსადგენად. ეს არის აჯანყება მთელი ერის, თვით ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას. თვალით მნახველნი გადმოგვცემენ ადამიანის ღირსების ამამაღლებელ თავგანწირული ბრძოლის სურათებს. ცხრა წლის ბავშვი, უბრალო მაკრატლით სჭრის რუსის ჯარის კაცის ტანკის შინას და იმ დროს, როდესაც ჯარის კაცი მეორე მომარაგებელ თვალს უკეთებს ტანკს, ბავშვი მომენტს იხელთებს, ტანკის ბაკში ნახვრეტს პოულობს, ცეცხლს უკიდებს და ტანკს აფეთქებს. ასეთი სურათები მრავალია. მიუხედავად ასეთი მაგალითებისა, რუსეთის დღევანდელი შავ-წითელ რაზმელები ცინიკურად და მოსაბეზრებლად მოშლილ გრამაფონის ფირფიტას ატრიალებენ იმის დასამტკიცებლად, რომ უნგრეთში კონტრ-რევოლუციონერების ამბოხებაა და გამოწვეულია ამერიკის დოლარებითო. მორალური გაკოტრება ამაზე შორს ველარ წავა, თუმცა ბოლშევიკები რომ მორალზე მწყრალად არიან, ეს ძველი ამბავია.

აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ამბები ყოველი თავისუფლების მოყვარული ადამიანის გულს მალამოდ ეცხება, ჩვენს მშობელ ერს კი ფრთებს შეასხამს და გამძლეობას შემატებს; გარნა დღეს ის წარმოუდგენელ მოხრუჭშია მოქცეული. და ისმება აქ, ეულობაში მყოფ ქართველობის წინაშე საკითხი: გვაქვს თუ არა მორალური უფლება პარტიებად და ჯგუფებად დაყოფისა? საჭიროა თუ არა ყველა ქართული ძალების ერთად შედუღება, რათა ჩვენმა მცირე საქმიანობამ მეტი ნაყოფი გამოიღოს. დღეს უფრო მეტად, ვიდრე როდისმე გვჭირია უკან დაყენება ყველა იმისა, რაც ჩვენ გვთიშავს (ან რაა, რომ გვთიშავს) და წინ წამოყენება იმისა, რაც ჩვენ გვაერთებს. ესაა ქართველი ერის ბრძოლა თავისი მეობისათვის. ამ ძირითად საკითხში ყოველი ქართველი ერთია.

დ. ხაღირაშვილი

## ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრე ირღვევა

რღვევის ელემენტები ბოლშევიზმს თავიდანვე დაჰყვა. ეს მისი შემადგენელი ნაწილია. ხოლო, მიუხედავად ბოლშევიზმის ასეთი ბუნებისა, ის მაინც განაგრძობს ბედასლ არსებობას. ასეთი გახანგრძლივების მიზეზები კი უმთავრესად შემდეგია:

1. რუსეთის ხალხის საზღაპრო მოთმენა-პასივობა, რომლის გამო ყოველგვარ დიქტატურას, მასზე ბატონობას უადვილებს.

2. ტერიტორიის უსაზღვრო სიდიდე, დასახლებული მრავალი ერებით და ხალხით, რომელთა ერთსულოვანი წინააღმდეგობა უაღრესად გაძნელებულია.

3. თეთრ მოხალისეთა არმიების მეთაურთა რეაქციონული პოლიტიკა, რომელიც, იმის მაგიერ, რომ სამოქალაქო ომის განმავლობაში ძალები შემოეკრიბა და ბოლშევიზმის ცენტრისაკენ მიემართა, თავისი ძალებს არა-რუს ეროვნებათა წინააღმდეგ ცერავდა, თვით სუსტდებოდა და ახლად წარმოშობილი სახელმწიფოების სტაბილიზაციას ხელს უშლიდა. მოვიგონოთ გენერალ დენიკინის უღირსი სამხედრო ოპერაციები უკრაინის, ყაზახების, საქართველოს და ჩრდილო-კავკასიის წინააღმდეგ. ყაზახობა მისი უმთავრესი დასაყრდენი ძალა იყო და ამ მამაცი ხალხის მეთაურებს ხვოეტდა, რასაც მოხალისეთა ძალების დეზორგანიზაცია ფეხ და ფეხ მისდევდა. თეთრ მოხალისეთა მეთაურობა ისე დაბრმავებული იყო, რომ, სადაც კი მისი ძალები ფეხს მოიკიდებდა, გლეხობას მიწებს ართმევდა და წმინდა შავრაზმული ზომებით უმასპინძლდებოდა. რაღა გასაკვირველია, რომ ასეთი პოლიტიკით ბოლშევიზმის წისქვილს წყალს ასხამდა.

ჩამოთვლილ გარემოებებს მიემატა მეოთხე, ბოროტი ძალის გენია, სამწუხაროდ, ქართველ ადამიანში რომ ჰპოვა საბუდარი, რომელსაც მსოფლიო სტალინის სახელით იც-

## კავკასიელების აჯანყებადა ბრძოლა ციმბირში

კაი ხანია მოდიოდა ყრუ ხმები, რომ 1944 წელს გადასახლებულები ჩრდილო კავკასიელები ციმბირში აჯანყებულან და იმყოფებიან გაავთრებულ მუდმივ ბრძოლაში მოსკოველ ტირანების მრავალრიცხოვან ჯალათების ადმინისტრაციასთან.

ამ ხანად ეს ხმები დამოწმდა ციმბირიდან გამოქცეულ ამ ბრძოლაში მონაწილეთაგანაც, და მათი ნაამბობის ნაწილი გამოქვეყნდა ამ წლის უკრაინულ და ყაზახების პრესაში („კაზახიი ვესტნიკ“ № 101).

დამოწმებული ცნობების თანახმად, გადასახლებულ კავკასიელთა აჯანყების და ბრძოლის მეთაურები ჩაჩნები ყოფილან, რომელთა ნახევარი მილიონი სული რუსებმა შუა აზიის და ციმბირის სივრცეებზე გაფანტეს.

კრასნოიარსკის მხარეს, რკინის გზის სადგურ „რეშეტი“-სთან, უღრან ტყეში („ტაიგაში“) გაჩეხილ დიდ მანძილზე იდგა გადასახლებულ ხალხისათვის, ოთხი დიდი ხის ბარაკი.

და ოტომანთა იმპერიაში. ამ გვარად არხის ორივე შესართავი გადაიქცა ეგვიპტის საკუთრებად.

დღევანდელი მოძრაობა აფიქრებინებს ადამიანს, რომ კრიზისის საუკეთესო გამოსავალია არხის მიდამოებში ინტერნაციონალური ზონის შექმნა და აბსოლუტურად ნეიტრალური პოლიციის დაარსება.. სწორედ ეს უახლოვდება ამ ჟამად დაინტერესებულ დასავლეთელების წინადადებას, რომ არხის მართველობა ინტერნაციონალურ კომისიას გადაეცეს. როცა ეგვიპტე ამ გვარ შეთანხმებას ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად ღებულობს, საჭიროა გაითვალისწინოს, რომ ის თავისი საშუალებით ვერც არხის ამზომად მნიშვნელოვან პუნქტად გადაქცევას მოახერხებდა და ვერც ოტომანთა იმპერიას ჩამოგლეჯდა იმ ტერიტორიას, რომელიც დღეს სუეცის არხის მიდამოდ ითვლება.

1905 წლიდან დაიწყო ვაფდისტების პარტიის მოქმედება, რაც ეგვიპტური ნაციონალიზმის მაღალ გამოსახულებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა კვლავ ინგლისის სასარგებლოდ შესცვალა მდგომარეობა. თუმცა ინგლისიც იძულებული იყო ზოგიერთ „დათმობებზე“ წასულიყო და 1914 წელს გამოაცხადა „ეგვიპტის პროტექტორატი“, ხოლო ჰუსეინ ალი ეგვიპტის სულთანად.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეგვიპტური ნაციონალიზმი უფრო გაძლიერდა და მიიღო ახდილი ანტი - ბრიტანული ხასიათი. ინგლისი იძულებული იყო კვლავ დაეთმო და 1922 წლის თებერვლის 28-ს ეგვიპტის დამოუკიდებლობა აღიარა, ხოლო იმავე წლის მარტის 16-ს სულთანი ფუად პირველი გამოაცხადა ეგვიპტის მეფედ.

ეგვიპტის მოსახლეობა 1882 წელს იყო ექვს-ნახევარი მილიონი. 1927-ში—14 მილიონი, ხოლო ამჟამად 20 მილიონს აღემატება.

(ზედმეტი არ იქნება მკითხველს გავახსენოთ, რომ 1801 წელს, როდესაც რუსეთმა გააყალბა ერეკლე მეორის ტრაქტატი და საქართველო თავის ორ გუბერნიად გამოაცხადა, ქართველ მოქალაქეთა რიცხვი თითქმის ორ მილიონს აღწევდა, ხოლო საუკუნე-ნახევრის შემდეგ ამ „ლიბერალურმა კოლონიზატორებმა“ ქართველთა რიცხვი დიდად არ შესცვალეს).

ეგვიპტის დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარების შემდეგ ინგლისმა თავისთვის შემოინახა ოთხი გარემოება: 1. ბრიტანეთის იმპერიის საკომუნიკაციო გზების შესაძლებლობის დაზღვევა. მაშასადამე, ამ საჭიროებისათვის სუეცის არხის მიდამოებში თავისი სამხედრო ძალის დატოვება. 2. ომის შემთხვევაში ეგვიპტის დაცვა. 3. ეგვიპტეში ეროვნულ უმცირესობათა დაცვა და 4. სუდენის დომინაცია.

იტალო-აბისინიის ომის შემდეგ ინგლისმა მოახერხა თავისი ერთგული ნაჰაზ ფაშის ხელისუფლებაში მოყვანა და 1936 წლის აგვისტოში დასდო „ოც - წლიანი სამხედრო კავშირი“. არხის საკითხს „კავშირის“ მერვე მუხლი ითვალისწინებს: „სუეცის არხი ინტეგრალური ნაწილია ეგვიპტისა და ერთი უნივერსალური გზა კომუნიკაციისა: განსაკუთრებული მნიშვნელობის გზა დიდი ბრიტანეთის იმპერიის სხვა და სხვა ნაწილების შემაერთებელი“ და რადგან ეგვიპტის სამხედრო ძალას არ შესწევდა უნარი დაეცვა ეს „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ გზა და არხი თავისუფალი და უშიშარი ზღვაოსნობა, ამიტომ დიდმა ბრიტანეთმა იმ მიდამოებში შემოინახა თავისი სამხედრო ძალა.

გამოცხადდა მეორე მსოფლიო ომი. ამ დროს ინგლისელები აბსოლუტურად ფლობდნენ ეგვიპტეს და ფარუკი მხოლოდ მათი სურვილების აღმასრულებელი იყო. ომის დაწყებისათანავე, ლონდონის მოთხოვნით, ფარუკმა ჩააბარა ხელისუფლება ნაჰაზ ფაშას და ეგვიპტის შეიარაღებული ძალების სარდლად დაინიშნა გენერალი აზიზ-ელ- ნასრი. მთავრობისა და სარდლობის „ანგლოფილური“ გარდა გარდაქმნით ეგვიპტე შევიდა ომში და ლიბიაში დაიწყო სამხედრო ოპერაციების წარმოება იტალიის წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეგვიპტეში კვლავ გაბატონდა ანტი-ბრიტანული განწყობილება. მოითხოვდნენ: არხის მიდამოებიდან ინგლისის ჯარის გაყვანას და 1936 წლის ხელშეკრულების გადასინჯვას. ეს განწყობილება დღითი-დღე იზრდებოდა და ეუფლებოდა ყოველი ეგვიპტელის გონებას.

1948 წლის ივნისში, არხის ადმინისტრაციის საბჭოში შევიდა ამერიკის ერთი წარმომადგენელი. ამ გვარად არხის მმართველობა წარმოადგენდა შემდეგ სურათს: 18 ფრანგი, 10 ინგლისელი, 2 ეგვიპტელი, 1 ამერიკელი და 1 პოლონელი. ხოლო 1949 წელს მოხდა არხის კომპანიასა და ეგვიპტის მთავრობის შორის შეთანხმება, რომლის ძალითაც, განსაზღვრულ ვადაში, ეგვიპტის წარმომადგენლები საბჭოში უნდა გაზრდილიყო შვიდამდე. ამ დროს მოხდა ეგვიპტე-იზრაილის „კონფლიკტი“, რომელსაც მოჰყვა ეგვიპტის მთავრობის დეკრეტი, სადაც ნათქვამია: „არხში გამავალმა ყოველმა ნავთის მზიდავმა გემმა, მომავალმა სამხრეთიდან, წინდაწინ უნდა განაცხადოს თავისი საბოლოო მიმართულება“-ო. ამით ეგვიპტემ დაარღვია 1888 წლის კონსტანტინეპოლის შეთანხმება, რამაც დაინტერესებულ ქვეყნების ენერგიული პროტესტი გამოიწვია, ხოლო ინგლისმა, საფრანგეთმა, ნორვეგიამ და ჰოლანდიამ ეს საკითხი გადაიტანეს გაერთიანებულ ერებში, რასაც არავითარი პრაკტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

1951 წელს ეგვიპტის მთავრობამ ცალმხრივად დაარღვია ინგლისთან დადებული 1936 წლის ხელშეკრულება და კატეგორიულად მოითხოვა არხის მიდამოებიდან მათი ჯარების გაყვანა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეგვიპტური ნაციონალიზმი (ვაფდისტების პარტია) ყოველ დღიურად იპყრობდა ახალ-ახალ პოზიციებს და ეუფლებოდა მთელ ერს. მნიშვნელოვან ძალად გადაიქცა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან მიიღო „პანარაბული“ პროგრამა. ეს მეტად მიმზიდველი და წამახალისებელი აღმოჩენა მთელი ეგვიპტის ერისათვის და კერძოდ მისი მხედრობისათვის. ვაფდისტების პარტიამ შექმნა ის ძალა, რომელმაც 1951 წ. ივლისის 22-ს შესძლო „შინაგანი გადატრიალება“ მოეხდინა და მონარქიული რეჟიმი შეიცვალა ნაგიბის მთავრობით, ხოლო 1954 წ. აპრილის 18-ს, ნაგიბის მთავრობა შესცვალა გამალ აბდ-ელ-ნასერმა. იმავე წლის ოკტომბრის 18-ს ბრიტანეთის მთავრობამ კვლავ მიაღწია კაირთან ერთგვარ შათანხმებას: ინგ-

**კავკასიელების აჯანყება** (გაგრძელება)

მესამე ნომრის ბარაკში დაბინავებული იყო 500 ჩაჩანი. ამ ადგილამდე მოაღწია ცნობებმა, რომ ტუსაღები აჯანყდნენ ვორკუტსკში, კარაგანადაში, ყაზახისტანის მხარეს და ნორილსკში. ეს ამბები განსაკუთრებულად ჩაჩნების გულსა სწვდათ და ყველანი შეითქვნენ აჯანყების მოხდენისათვის. შეიმუშავეს დაწვრილებით გეგმა და 1954 წლის ოქტომბერში უცბად თავს დაესხნენ თავის მეთვალყურეებს, მოჰკლეს ესენი, მოუკიდეს ცეცხლი ოთხივე ბარაკს, რომელნიც მთლად გადასწვეს. მერე გაარღვიეს გალავნის დიდი კარი და გაიქცნენ „ტაიგაში".

სადგურ „რეშეტი"-დან ჩრდილოეთისაკენ ღრმად ტაიგაში, 400 კილომეტრის სიგრძით შეჭრილია ახლად გაყვანილი რკინის გზის ლიანდაგი, რომლის ორივე გვერდით ყოველ 5-6 კილომეტრის მანძილზე გამწკრივებულან განსაკუთრებული ლაგერები შიგ დამწყდეულ გადასახლებულებით. ამ გზის მე-22 და მე-28 კილომეტრზე მესამე და მეოთხე ლაგერებში იმყოფებოდნენ 2 000 ჩაჩანი. გაიგეს თუ არა, რომ „რეშეტის" ლაგერში მათი ძმები აჯანყებულან, რომელთა შორის დაიღუპა 12 და დაჭრილა 100, მესამე და მეოთხე ლაგერების ჩაჩნებიც მაშინვე აჯანყდნენ.

ეს აჯანყება უცბად ორივე ლაგერს მოედო და ლაგერის ადმინისტრაცია იმ წამსვე მთლად ამოწყვიტეს. ორივე ლაგერის ათი უშველებელი ხის ბარაკები გახვეულნი ცეცხლის ალში ჩაიწვნენ როგორც სანთლები თავისი სასადილო, სამზარეულოებებით, კონტორებით, სამრეცხაოებით, იზოლიატორებით და ყველა სხვა დაწესებულებებით.

ჩაჩნებმა თავიდან მოჰკლეს მთავარი კონტროლიორი, ჩაიგდეს ხელში მისი ავტომატი პატრონებით და მაშინადვე მიხვრიტეს ყველა დარაჯები გალავნის ხის კოშკებზე მდგომნი და დაიწყეს დახევა ტაიგის ულრან ტყეებისაკენ. გზად ამოსწყვიტეს ლაგერების ადმინისტრაციის ოჯახები, რომლებიც ბინადრობდნენ ცალკე სახლებში ლაგერების ახლოს. მესამე და მეოთხე ლაგერების მართველობიდან ჩაჩნებს არავინ გადაურჩა ცოცხალი. ჩაჩნები მოექცნენ ტყეში.

ციმბირის ამ მხარეში შეჩერდა ყველა სამუშაოები რკინის გზის ახალი ლიანდაგის გაყვანისათვის. აგრეთვე მუშაობა მრავალრიცხოვან იქაურ ლაგერებში. ჩაჩნების სადევნელად დაიწყო ბოლშევიკური შეიარაღებული ძალების დაგროვება: ენკავედელები, ჯარის კაცები, ძაღლები და ყველა, ვინც კიდევ ერთგულად ემსახურებოდა საბჭოთა მთავრობას. 1955 წლის თებერვლამდე შეუჩერებლივ დაწრწოდნენ ტყეებში და იჭერდნენ იქ შეხიზნულ ჩაჩნებს. მონაწილეთა გადმოცემით აჯანყებული ჩაჩნების ნახევარი ამოწყვიტეს, ნახევარმა კი მოახერხა და შეიჭრა ღრმად ციმბირის ულრან ტყეებში და იქიდან მოეფინა რკინის გზის მოსკოვ - ვლადივოსტოკის მთავარ მაგისტრალს, რომელზედაც დაიწყო გააფთრებული თარეში და განადგურება, ამოწყვეტა ყველა და ყოველგვარი ბოლშევიკურისა. ავტომატებით შეიარაღებული ჩეკისტები ღამით ველარ ბედავენ გამოსვლას ქუჩებში, არა მარტო პატარა დაბებში, ლაგერებში, არამედ დიდ ქალაქებშიც. გაბედულად, უშიშრად სრულიად მოულოდნელად მათ თავს ესხმიან ტაიგადან გამოსული ჩაჩნები და ახლად შეძენილი იარაღით, როგორც აჩრდილები ჰქრებიან ციმბირის უსაზღვრო სივრცეებს მოფენილთ თვალუწვდენელ ათასწლოვან დაბურულ ტყეებში.

საშინელი, უმოწყალო, სამკვდრო - სასიცოცხლო პირუტყვული ბრძოლა დღემდე ერთ წამითაც არ ჰქრება ციმბირის სივრცეზე. მხეცური რეჟიმით გაბოროტებული ადამიანები შურს იძიებენ თავის მკვლელებზე. ეროვნულ კავკასიელ მოდგმის ადამიანები, მილიონ ნადა პიროვნულ თავისუფლების მოყვარული ხევარზე მეტი მოსკოვის ძალმომრეობით მოწყვეტილი თავის სამშობლოს და სასიკვდილოდ გადაყრილნი ციმბირის მხარეში, შეუდრეკლად იბრძვიან. დღეს ძვირად უჯდებათ და უფრო მეტად დაუჯდებათ მოსკოვის ტირანებს. ხმებია, რომ კავკასიელ მებრძოლებს მხარში უდგანან ლაგერებიდან გამოქცეული ყველა ჯურის ხალხი... ახალ ჩამოსულთა მოწმობით, ციმბირის დიდი ქვეყანა საკმაოდ დანაღმულია გაერთიანებულ მეამბოხეთა სულისკვეთებით და ეს ხდება განსაკუთრებით კავკასიელთა მეთაურობით.

**ერ.— დ.**

# საით მიდის კავკასია?

**2. ცოტა რამ ისტორიიდან**

კავკასია დიდი ისტორიული ამბების ძველი დროის ასპარეზია, ორი მსოფლიოს გეოგრაფიული კვანძი: ევროპა-აზიისა, მათი მოდგმათა, კულტურისა და მათი შეჯიბრებისა. კავკასიის მთების ძირში შორეული ხანის დასავლეთ და აღმოსავლეთ შორის ხშირად იმართებოდა მძვინვარე ომები. დარუბანდის რკინის კარი არა ერთხელ დარღვეულა აზიის და აღმოსავლეთ ევროპიდან მომდინარე ურდოების დაწოლით, რომელნიც მიილტვიან — პირველნი ჩრდილოეთის ველებისაკენ, მეორენი კი—მცირე აზიისაკენ.

კავკასიელები—ძირმაგარი, ძალოვანი მოდგმის ჯიუტი ერებისა, რომელნიც 25 საუკუნეზე მეტი თავგამოდებით იცავდნენ თავის კავკასიურ კერას და მის მუდამ ანთებულ თავისუფლების ცეცხლს არავის აქრობინებდა.

დიდი ქვეყნებისა და იმპერიების ომებში ხშირად დამარცხებულ, პოლიტიკურ თავისუფლებაში ზოგჯერ შეკვეცილებმა, ზოგჯერ მთლიანად დაპყრობილებმა კავკასიელებმა, ჩვენს დრომდე მოაღწიეს ორიმესამედი თავისი ტერიტორიით და ორი-მესამედი თავისი მოსახლეობით. ერთმანეთ შორის შეინახეს ტერიტორიალური მიზიდულობა, სიმჭიდროვე და მრავალ საუკუნეების მანძილზე არ დაუშვეს თავის მიწა-წყლის უდიდესი ნაწილის უცხოელების კოლონიზაცია და კავკასიელ ერების დენაციონალიზაცია.

სად არიან ძველი სკითები, ეგვიპტელები, რომაელები, ბერძნები, არაბები, სპარსელები, ოსმანები, რომელნიც სხვა და სხვა საუკუნეებში შემოჭრილნი კავკასიაში თავისი მრავალრიცხოვანი ლეგიონებით და ურდოებით ცდილობდნენ კავკასიის მიწა-წყალზე სამუდამოდ დასახლებას? ისინი დაბრუნდნენ იქ, საიდანაც მოსულან. ვინც დარჩა,, ის გახდა კავკასიელთა მოდგმაში გათქვეფის საგნად. ეს არის კავკასიური ისტორიის ობიექტიური სიმართლე, ორი ათასი წლის მანძილზე ღრმად ამოჭრილი კავკასიონის მთის მონოლიტში. კავკასიის ერთა გამაერთიანებელი მძლავრი სიყვარულით თავის მიწა - წყლისადმი, მოდგმის, კულტურის და თავისუფლებისადმი. ამას ამოწმებენ კავკასიის ისტორიის ძველი საუკუნეთა ფურცლებიც.

ქართულ - სომხურ ხალხურ ლეგენდებში შენახულია ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ამიერ - კავკასიაში სკვითების შემოსევის ამბავი. სკვითები უმოწყალოდ ყველაფერს ანადგურებდნენ, სანამ იბერებმა და სომხებმა გაერთიანებული ძალებით არ გარეკეს ამიერ კავკასიიდან ულმობელი მტერი.

ქართული ისტორიის ფურცლები იხსენიებენ სკვითების გაჩენას დასავლეთ ამიერ-კავკასიაში 250-60 წწ. ქრ. შემდეგ. „ამ წლების განმავლობაში — მოგვითხრობს ისტორიკოსი — სკვითები აოხრებდნენ ლაზიკას და შავიზღვის სანაპიროებს. ყველგან კი, სადაც გაჩენილან სკვითები ძირიანდ განადგურებული რჩებოდა. ხალხი იმალებოდა მიუვალ ადგილებში. ბოლოს სკვითები გარეკილ იქმნენ კავკასიის შავი-ზღვის ნაპირების მცხოვრებთა საერთო ძალით"-ო.

რომაელების გაჩენას კავკასიაში (66 წ. ქ. შ.) დაუხვდა მის საზღვრებში ოთხი კავკასიის სახელმწიფოს კავშირი: კოლხეთის (დასავლეთი საქართველო), იბერიის (აღმოსავლეთ საქართველო, ალბანეთის (აღმოსავლეთ ამ. კავკასია) და სომხეთის, რომლის გაერთიანებული ჯარები გადაელობნენ ძლევა-მოსილ პომპეუსს—რომაელ ლეგიონებს.

მეხუთე საუკუნეში სპარსეთის სასანიდთა დინასტიის ეპოქაში აღმოსავლეთ კავკასიის ერები არა ერთხელ აჯანყებულან სპარსეთის ბატონობისა და სარწმუნოებრივი დევნის წინააღმდეგ. 483 წ. იბერ-სომეხ-ალბანელთა შეერთებულმა ჯარებმა სცადეს გაენთავისუფლებიათ თავისი ქვეყნები სპარსთა უღლისაგან, მაგრამ დამარცხდნენ.

571 წლის 30 მარტს სომხები ვარდან მამიკონიანის მეთაურობით აუჯანყდნენ სპარსეთის მეფე ხოსროვს, რომელიც ძალით აღებინებდა სომხებს ცეცხლთაყვანისცემის სარწმუნოებას. აჯანყებულებმა მიმართეს მეზობლებს შველისათვის. როგორც იტყობინება ბიზანტიის ისტორიკოსი ფეოფანე, პირველები გამოეხმაურნენ იბერები თავის მოსაზღვრე ტომებით იბერთა მეფე გურგენ მეორის თაოსნობით.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის გავლენა მთელ კავკასიაში იყო განმტკიცებული. სპარსელები ყველგან სდევნიდნენ ბიზანტიელებს. ბიზანტიის კეისარ ირაკლიმ განიზრახა ხოსროვ მეორის ბატონობისათვის ბოლო მოეღო კავკასიაში. თავისი ჯარებით შეიჭრა სპარსეთში სომხეთის მხრივ, გაანადგურა სპარსეთის ჩრდილო პროვინციები და საზამთროდ დაბინავდა ალბანეთში (აღმოს. კავკასია). იქიდან დაუგზავნა კავკასიის ყველა ერებს ბრძანება ბიზანტიას დამორჩილებოდნენ. ან და სრული აოხრებით ემუქრებოდა. ამაზე ალბანელებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს ომის გამოცხადებით. მათ მიემხრნენ იბერებიც. ლაზებმა და აბხაზებმა უპასუხეს ბიზანტიის მეფეს, რომ:—ჩვენ ვერ წავალთ ჩვენი მეზობლების წინააღმდეგო.

ძველი კავკასიის ისტორიის ეს მაგალითები აშკარად ამოწმებენ კავკასიის ერების**უძველეს პოლიტიკურ ტრადიციას—საერთო საშიშროების ხანაში გაერთიანებული ძალებით სამშობლოს დაცვას.** საშუალო საუკუნეები იძლევიან ამის უფრო მეტ და მტკიცე საბუთებს. ამ მხრივ ყველაზე საჩვენებელი და სამაგალითოა კავკასიური ეპოქა ქართველ მეფე დავით მეორე ბაგრატიდისა, საქართველოს შემკრებელ და აღმაშენებლისა, რომელმაც საქართველოს ოქროს ხანას და მთელ კავკასიის თავისუფლებას ჩაუყარა საძირკველი. დავითი აწარმოებდა განთავისუფლების ბრძოლას ერთდროულად სამ მხრივ: სელჯუკებთან, რომელნიც ემუქრებოდნენ აღმოსავლეთ კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს; სპარსელებთან, რომელნიც ბატონობდნენ აღმოსავლეთ კავკასიაში და არაბების ძველ ძალა-უფლების ნარჩენ ნაწილთან, რომელთაც ჯერ კიდევ ხელთ ეჭირათ თბილისი და ანი. სელჯუკ (თურქების) თაოსნობით, რომელნიც არა ერთხელ იყვნენ მეფე დავითის მიერ დამარცხებულნი, ეწყობა თურქ-სპარს-არაბთა კოალიცია, რომლის ჯარი, ისტორიკოსების მოთხრობით, ნახევარ მილიონს აღწევდა. იმ დროისათვის ეს უშველებელი ძალა თავს დაესხა კავკასიის შუა-გულს — საქართველოს 1121 წელს.

სამხრეთ კოალიციას დაუხვდა კავკასიელთა კოალიცია 80 000 მეომართაგან შემდგარი სოფელ დიდ-გორთან. მეფე დავითის მეთაურობით ქართველები, აბხაზები, ჩერქესები ოსები, შირვანელები და სომხები საშინელ ხელჩართულ ბრძოლაში ამარცხებენ ექვსჯერ მეტ მტერს და განდევნიან კავკასიის საზღვრებიდან. მალე საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისი და კავკასიის სომხეთის ცენტრი ქ. ანისი დავითის ჯარებმა გაანთავისუფლეს არაბების ბატონობისაგან და მთელი კავკასია თავის საკუთარ ფეხზე დგება. ამის შემდეგ მთელ კავკასიის სივრცეს სწრაფად ედება გამაერთიანებელი მოძრაობა. ქართველთა და აბხაზ-ჩერქეზთა ხალხები თამაშობენ მთავარ როლს იმ გაერთიანების დასრულებაში, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში ქართველ ბაგრატიონთა სკიპტრის ქვეშ თამარ მეფის სახით გადააქცია გარეშე ძალებით დაქსაქსული კავკასია ერთ მონოლიტურ სიმაგრე-ბარიერად.

ეს საუკუნე იყო პოლიტიკური გაერთიანება სხვა და სხვა მოდგმათა და კულტურული დაახლოება ორი სამყაროსი: ქრისტიანულისა და მუსულმანურის, რომელშიაც საქართველო და ქართველი ერი მთავარ როლს თამაშობდა. ამ კოალიციის კულტურულ - პოლიტიკურ მიღწევის ცენტრი იყო არა მხოლოდ თბილისი, რუსთაველის სამშობლო, კიდევ მუსულმანური შემახაც შირვან-ხანების დედა-ქალაქი. სამხრეთ კავკასიაში კი სომხური ანისი, რომელიც გახდა აკვნად განახლებული სომხეთისა. გამთელების ამ პროცესში არა ნაკლებ ნიშვნელობისა იყო მონაწილეობა ჩრდილო კავკასიის ერებისაც. კავკასიის ამ ეპოქის შემქნელ, დავით აღმაშენებელის ჯარში მათ ეჭირათ მნიშვნელოვანი ადგილები, თვით თამარ მეფის ქმარი ოსეთის მეფლობელი დავით სოსლანი იყო.

ყველა ეს ისტორიული ფაქტები კავკასიის ერების პოლიტიკურ და კულტურულ საერთო მიღწევებისა სრულიად აბათილებენ ყველა ცილისწამებებს, **რომ კავკასიის ერებს ისტორიულად და ტრადიციულად არ შეუძლიანთ თანხმობითი ცხოვრება.**

მონღოლების შემოსევამ მეცამეტე საუკუნეში შეაჩერა კავკასიის ეს გაერთიანების პროცესი და მის საშინელ დარტყმებს უშედეგოდ არ ჩაუვლიათ. კავკასიის ყოფილი მთლიანობა დაირღვა, თვით საქართველოც მოჰყვა დაქუცმაცების ბორბალში. ჩრდილო კავკასიის ერები, გაშლილნი ჩრდილო კავკასიის ფართო ველებზე, მონღოლების მოდგმის ტომებმა დაახევინეს კავკასიის მთებისაკენ. მაგრამ, მიუხედავად ამ მნიშვნელოვან ცვლილებებისა საშუალო საუკუნეებში, მეთორმეტე საუკუნე მათი ერთობისა იყო ის მთავარი მიზეზი, რომ ქართველები, ჩრდილო კავკასიელები და შირვანელები მონღოლების მრავალ შემოსევებმა ვერ წალეკეს კავკასიის მიწა - წყლის პირიდან და ქართველებმა და აზერბეიჯანელებმა თავის სახელმწიფოებრივ ეროვნული დაწესებულებანით მეცხრამეტე საუკუნის კარამდე მოაღწევს და ჩრდილო კავკასიელებმა კი თავისი თავისუფლებით 1864 წლამდე.

**დ. ვაჩნაძე.**

# სუეცის არხი

**(გაგრძელება)**

ლისი პატივს სცემდა ეგვიპტის სუვერენობას, დაიცავდა მის და არაბულ ქვეყნების ტერიტორიალურ მთლიანობას, თუ კი მას საიდანმე საფრთხე გაუჩნდებოდა. ჯარის გაყვანა უნდა მომხდარიყო თანდათანობით ოცი თვის განმავლობაში. ინგლისმა თანახმად შეთანხმებაში გათვალისწინებული წესისა ჯარი გაიყვანა, ხოლო ეგვიპტემ ვერ დაიცვა შეთანხმება და მიმდინარე წლის ივლისის 26-ს არხის ნაციონალიზაცია გამოაცხადა. მოახდინა ქონების კონფისკაცია, როგორც შინ, ისე უცხოეთში და შექმნა არხის ახალი მართველობა სუფთა ეგვიპტური შემადგენლობით.

აი ამ ახალმა გარემოებამ გამოიწვია თანამედროვე საერთაშორისო კრიზისი.

ლონდონის კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო ანგლო-ფრანგული ინიციატივით, დაიშალა უშედეგოდ და ვერავითარი პრაქტიკული გამოსავალი ვერ მოძებნეს, ვინაიდან მას აკლდა მთავარი დაინტერესებული მხარე ეგვიპტე. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, რეზოლუციის საფუძვლად მიიღეს ამერიკული მოსაზრება, რომ არხი უნდა ყოფილიყო გამოყენებული ყოველგვარი პოლიტიკური მოსაზრებების გარეშე, რათა იგი არ გადაქცეულიყო რომელიმე ერის პოლიტიკის წარმოების იარაღად. ამ მოსაზრებას აფრიკულ-აზიური ქვეყნების წარმომადგენლებმა გაუკეთეს თავისი შენიშვნა, რომ „პატივი ეცეს ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს, დაცულ იქმნეს არხით თავისუფალი სარგებლობის შესაძლებლობა და აქედან გამოირიცხოს ყოველგვარი პოლიტიკური გავლენაო.

ეს ყოვლად ლოიალური და თვინიერი წინადადება უარყო ეგვიპტემ. მან განაცხადა თავისი თანხმობა, რომ დააზღვევს ყოველი ქვეყნისათვის არხით თავისუფალ სარგებლობას, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ მისი ადმინისტრაცია უნდა იყოს სუფთა ეროვნულ-ეგვიპტური.

ეს შეუთანხმებლობა ცხად ჰყოფს ნასერის ბუნებას. ეს არის გამჟღავნება არა მარტო ანტი - დასავლეთური განწყობილების, არამედ თავის დიკტატორული ჟინიანობის, რომელიც ვერ იტანს შეთანხმებას, მორიგებას და ზომიერ მსჯელობას.

მეორეს მხრივ, ამ ტრაღედიის დასავლეთური მთავარი აქტიორები — ინგლის-საფრანგეთი, წავიდნენ ძველი, ნაცადი დამუქრების გზით, რამაც უფრო გააღიზიანა არა მარტო ეგვიპტე, არამედ მთელი ე. წ. კოლონიალური ქვეყნები, რადგან ეგვიპტეს „კრიზისის" გამოსავალში ხედავდნენ საკუთარი ქვეყნის მომავალსაც. ყველა დაპყრობილ და კოლონიალური ქვეყნებისათვის ეს არის ახალი მომენტი. ამ კრიზისის სამართლიანი და წესიერი გადაწყვეტილება გახდება იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად მომზადებულია დასავლეთი ახალი დროებისათვის, რომლის გადაუდებელი ამოცანა ერთა თავისუფლებაა.

ლონდონსა და პარიზს არ უნდა ეკისრად მხოლოდ „პრესტიჟისათვის ხმალის ათამაშება"; მოკავშირეების და გაერთიანებული ერების გვერდის ავლა და საკუთარი ინიციატივით ზომების მიღება. ყოველი დემოკრატიული ქვეყნის მოვალეობაა მაქსიმალური მონდომებით დაიცვას „კოლექტიური თავდაცვის პრინციპი", რაც რუსული იმპერიალიზმის საშიშროებამ მთავარ საზრუნავად აქცია და რის შერყევას და დაშლას ასე მონდომებულად და ენერგიულად ცდილობს რუსეთის თანამედროვე დიპლომატია.

**დონი**

— . — . —

# ისტორიული ცნობა

საქართველოს ისტორიაში 1917 წლის ნოემბერი მნიშვნელოვან თარიღად ჩაითვლება. ამ თვის 19-ს შესდგა პირველი ქართული ეროვნული ყრილობა ყველა პოლიტიკურ პარტიათა და წრეების გაერთიანების საფუძველზე. ამ ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო 67 წევრისაგან შემდგარი, რომელმაც შემდეგ წელს ,1918 წლის 26 მაისს, ჩაუყარა საძირკველი საქართველოს პირველ დამოუკიდებელ პარლამენტს.

— . — . —

EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani ,
S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
12-29 — 120 St. College Point. L. I.